საპენსიო დანაზოგის ამონაგები და რისკების ანალიზი

ნიკა შარაშიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბანკო-საფინანსო ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

ხელმძღვანელი: ალექსანდრე ეგრეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკა შარაშიძე

19.06.2021.

აბსტრაქტი

საკვლევ საკითხს წარმოადგენს საპენსიო დანაზოგის ამონაგებისა და რისკების ანალიზი. ნაშრომში განხილულია საპენსიო დანაზოგის მოდელები და რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, კერძოდ, აშშ-ს, ავსტრალიის, ესტონეთის, ნიდერლანდების და საქართველოს საპენსიო სისტემები. მიმოხილულია მათი გამოცდილება და გადაწყვეტილებები საპენსიო სისტემის შესახებ. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, რომ გამოიკვეთოს ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ახლავს საპენსიო დანაზოგებს, რათა მოხდეს მათი თავიდან აცილება. შემუშავებული ჰიპოთეზის მიხედვით, დაგროვებით საპენსიო სისტემას შეიძლება ახლდეს შემდეგი რისკ-ფაქტორები: დაგროვილი დანაზოგის მითვისების რისკი, საპენსიო სააგენტოს გაუქმების რისკი, ჰიპერინფლაცია და ა.შ. რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ღირსეულ სიბერეს. სწორედ ამიტომ, ნაშრომში განხილულ იქნა მოსალოდნელი რისკები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არის დასაქმებული და თვით დასაქმებული, ან აქვთ პოტენციური შანსი დასაქმებისა. რესპოდენტების მიერ შეფასებულ იქნა თითოეული რისკი და მათი პასუხების შესაბამისად გამოიკვეთა საპენსიო დანაზოგის დაბალი რისკ-ფაქტორები და მაღალი რისკ-ფაქტორები, კერძოდ, დაბალ რისკ-ფაქტორს წარმოადგენდა საპენსიო სააგენტოს გაუქმება, ხოლო მაღალს - საპენსიო დანაზოგების მითვისება. ასევე, კვლევის შედეგების ნაწილში წარმოდგენილია, რეპონდენტების მოლოდინები საკუთარი საპენსიო დანაზოგების მიმართ - რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებით, საპენსიო დანაზოგი ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ სიბერეს.

საძიებო სიტყვები: საპენსიო დანაზოგი, რისკების ანალიზი, ხელფასის ჩანაცვლების კოეფიციენტი.

Abstract

The research issue is the analysis of pension savings returns and risks. The paper discusses pension savings models and the examples of several countries, in particular the pension systems of the United States, Australia, Estonia, the Netherlands and Georgia. Their experiences and decisions about the pension system are reviewed. Therefore, the aim of this paper is to identify the risk factors that accompany pension savings in order to avoid them. According to the developed hypothesis, the accumulative pension system may be accompanied by the following risk factors: risk of misappropriation of accumulated savings, risk of cancellation of the pension agency, hyperinflation, etc. On the basis of which we can assume that the accumulative pension system does not fully ensure the decent old age of the population. That is why the paper discussed the expected risks. Quantitative research surveyed the part of the population that is employed and self-employed, or has a potential chance of employment. Each risk was assessed by the respondents and according to their answers, low risk factors of pension savings and high risk factors were identified, in particular, the low risk factor was the abolition of the pension agency and the high risk was the appropriation of pension savings. Also, part of the results of the survey presents the expectations of the respondents towards their own retirement savings - in the opinion of the majority of respondents, the retirement savings do not provide a decent old age.

Key words: pension savings, risk analysis, salary substitution ratio.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ალექსანდრე ეგრეშიძეს, რომელიც გვერდში მედგა ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში, ხოლო მისი რეკომენდაციების და რჩევების მეშვეობით მოვახერხე, რომ კვლევას ჰქონოდა ამჟამინდელი სახე.

გარდა ამისა, მალდობას ვუხდი აკადემირუი წერის კურსის ხელმძღვანელს ქეთევან არევაძეს, რადგან მისი კურისი ფარგლებში საფუძვლიანად შევისწავლე აკადემიური წერის ტექნიკები.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა რესპონდენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში და დააფიქსირეს საკუთარი პოზიციები.